585
1970 / 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

585/2

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

21

№ 1 (348)

1970 წლის იანვარი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 1 (348) იანვარი 1970 წელი

11363

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად ვარდაქმნის შესახებ.
2. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
3. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლანჩხუთის, სიღნაღისა და წალენჯიხის რაიონების ადგილობრივი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ.

განყოფილება მეორე

4. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
5. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ნ. ალანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
6. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. სარჯველაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
7. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომკავშირული ორგანიზაციების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

8. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. [illegible]. ჯაშის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

9. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. ლოლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

10. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ა. ტორჩინავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

11. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. მ. ილურიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

12. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. ქადაგიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

13. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. ყურაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობის მუდმივ კომისიაში საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

1 **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ**

ფასწარმოქმნის საქმის ხელმძღვანელობის გაძლიერების, ფასთა პოლიტიკის ერთიანობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1970 წლის 15 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

2 **ამხ. კ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. კონდრატე სოკრატის ძე **ციმაკურიძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

თბილისი, 1970 წლის 15 იანვარი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

3 **ლანჩხუთის, სიღნაღისა და წალენჯიხის რაიონების ადგილობრივი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის, სიღნაღისა და წალენჯიხის რაიონების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გააუმჯობესეს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება. ამ საქმეში ფართოდ იყენებენ მუდმივ კომისიებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატებსა და აქტივს. საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების უმრავლესობას გამოაქვს საქმიანი, კონკრეტული გადაწყვეტილებანი, [illegible] დიდი ნაწილი დროულად სრულდება. მიღებულ გადაწყვეტილებათა [illegible] ბისადმი კონტროლის გაძლიერებამ ხელი შეუწყო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის და ვაჭრობის დარგში გარკვეული წარმატებების მიღწევას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. აღმასრულებელი კომიტეტების უმეტესობა რეგულარულად აცნობს დეპუტატებს წინა სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობას.

ამასთან ერთად ზემოაღნიშნული რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გააჩნიათ ნაკლოვანებანი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში.

რიგ შემთხვევებში გადაწყვეტილებებს იღებენ საკითხის წინასწარ სათანადოდ შესწავლის გარეშე; კონტროლი არ ეწევა სესიებისა და აღმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, რის შედეგად გათვალისწინებული ღონისძიებანი შეუსრულებელი რჩება. მაგალითად, დღემდე შეუსრულებელია ლანჩხუთის რაიონული საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილება ქალაქის მესამე და ჩოჩხათის საშუალო სკოლების მშენებლობის დამთავრების თაობაზე. ასევე არ შესრულებულა ნაწილი ჩიბათის სასოფლო საბჭოს მეშვიდე და მერვე სესიების გადაწყვეტილებისა სოფლის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობების რემონტისა და სოფლის შიდა გზების კეთილმოწყობის, წალენჯიხის რაიონული საბჭოს აღმასკომის გასული წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება დიეტური სასადილოს გახსნისა და სასმელი წყლის ქლორატორის მოწყობის, ობუჯის, ორჯონიკიძის და მიქავას საექიმო პუნქტებში ტელეფონების დადგმის, ლიის სასოფლო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება სოფლის რადიოფიცირების შესახებ და სხვ.

არის შემთხვევები, როცა აღმასკომები ერთსა და იმავე საკითხს რამდენჯერმე იხილავენ და გადაწყვეტილებებს განმეორებით იღებენ, საკითხი კი გადაუჭრელი რჩება. სიღნაღის რაიაღმასკომმა გასულ წელს ორჯერ მიიღო გადაწყვეტილება ბიბლიოთეკის მშენებლობის შესახებ, მაგრამ მდგომარეობა არ შეცვლილა.

აღმასრულებელი კომიტეტების უმრავლესობას არა აქვს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების აღრიცხვის ჟურნალი. რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, განსაკუთრებით კი სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები დაწესებულ ვადებში არ უგზავნიან გადაწყვეტილებებს დაინტერესებულ ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს. მაგალითად, წალენჯიხის რაისაბჭოს აღმასკომმა 1969 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება ჩაის ფოთლის კრეფისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესახებ კოლმეურნეობებსა და ქვემდგომ საბჭოებს ერთი თვის შემდეგ გაუგზავნა. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და წარმოებადაწესებულებათა ხელმძღვანელებიც დროულად არ აწვდიან ცნობებს აღმასკომებს გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ. რიგ შემთხვე-

ვებში საბჭოები წინასწარ არ აცნობენ მოსახლეობას გადაწყვეტილებათა პროექტებს.

ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ აღმასრულებელი კომიტეტები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სესიებისა და აღმასკომების სხდომების მომზადებასა და ჩატარებას, არასაკმარისად ეწევიან ორგანიზატორულ მუშაობას მიღებულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ზოგიერთი საბჭო ამ საქმეში ნაკლებად იზიდავს დეპუტატებს და აქტივს, ამომრჩევლებს არ აცნობს საბჭოს გადაწყვეტილებებს და არ რაზმავს მოსახლეობას მათ შესასრულებლად.

რაიონული საბჭოები საკმარის კონტროლსა და დახმარებას არ უწევენ ქვემდგომ საბჭოებს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ლანჩხუთის, სიღნაღისა და წალენჯიხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რისთვისაც:

ა) საბჭოების სესიებისა და აღმასკომების სხდომებზე რეგულარულად განიხილონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები, მათ მომზადება-განხილვაში ფართოდ ჩააბან საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განსახილველი საკითხების წინასწარ შესწავლას, ამასთან გადაწყვეტილებანი მიიღონ რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით;

გ) მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატებს მტკიცე კავშირი ჰქონდეთ ამომრჩევლებთან, ყოველი სესიის შემდეგ ხვდებოდნენ მათ, აცნობდნენ საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და რაზმავდენ მოსახლეობას ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად; ამასთან აღმასკომებმა სისტემატურად მოახსენონ დეპუტატებს წინა სესიებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა;

დ) დროულად გაუგზავნონ გადაწყვეტილებები შემსრულებლებს; შემოიღონ გადაწყვეტილებათა შესრულების აღრიცხვის ჟურნალი;

ე) სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა, რათა საჭირო შემთხვევაში დასახონ სათანადო ღონისძიებანი;

ვ) რეგულარულად შეამოწმონ ქვემდგომი საბჭოების და აღმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება და საჭირო დახმარება აღმოუჩინონ მათ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებს შეამოწმონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობა და უზრუნველყონ ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 28 იანვარი.

განკოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

4 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის"**:

1. აკაკი ახმედის ძე **ვარშანიძე** — აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეთაური.

2. დომენტი კოსტას ძე **თიბილოვი** (სიკვდილშემდგომ) — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის კოლმეურნე.

3. პავლე მიხეილის ძე **შჩერბაკოვი** — სამხედრო მოსამსახურე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 28 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

5 ამხ. ს. ნ. ალანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ, საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. სოკრატ ნიკოლოზის ძე **ალანია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 9 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

6 ამხ. ნ. ი. სარჯველაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აწყურის მერძეველობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ნიკიფორე ივანეს ძე **სარჯველაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1970 წლის 9 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

7 კომკავშირული ორგანიზაციების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო ობიექტების მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის, მოსახლეობაში დიდი პროპაგანდისტული და საშეფო მუშაობის ჩატარებისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით კომკავშირული ორგანიზაციები:**

1. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის
2. საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის
3. ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1970 წლის 15 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

8 ამხ. ნ. უ. ჯაშის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ, პარტიულ ორგანოებსა და პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, გაზეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თბილისის“ რედაქტორი ამხ. ნიკოლოზ უშანგის ძე ჯაში დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ᲙᲕᲐᲨᲐᲫᲔ.

თბილისი, 1970 წლის 15 იანვარი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

9 ᲐᲛᲮ. Ვ. Ა. ᲚᲝᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექტორი ამხ. ვახტანგ ალექსანდრეს ძე ლოლაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ᲙᲕᲐᲨᲐᲫᲔ.

თბილისი, 1970 წლის 16 იანვარი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

10 ᲐᲛᲮ. Დ. Ა. ᲢᲝᲠᲩᲘᲜᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

რესპუბლიკის ენერგეტიკის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ზაპვსის კასკადი № 1-ის მთავარი ინჟინერი ამხ. დავით ანტონის ძე ტორჩინავა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ᲙᲕᲐᲨᲐᲫᲔ.

თბილისი, 1970 წლის 16 იანვარი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

11 ᲐᲛᲮ. Კ. Მ. ᲘᲚᲣᲠᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მაღალი საწარმოო მიღწევებისათვის, სამჭედლო საქმეში შემოქმედებითი მუშაობის გაშლისა და ახალგაზრდა კადრების აღზრდაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთებელი ქარხნის მჭედელი, რესპუბლიკაში შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის მოძრაობის ერთ-ერთი ინიციატორი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. კონსტანტინე მიხეილის ძე ილურიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 19 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

12 ამხ. გ. ი. ქადაგიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ამხ. გრიგოლ ილიას ძე ქადაგიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმის** თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 22 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

13 ამხ. გ. გ. ყურაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიაში ხანგრძლივი, უმწიკვლო სამსახურისა და მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, გადამდგარი გენერალ-მაიორი გიორგი გაბრიელის ძე **ყურაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმის** თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 30 იანვარი.

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ სამხედრო კომისრის ვ. მურუსიძის ინფორმაცია რესპუბლიკაში საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის განსახორციელებლად დიდ მუშაობას ეწევიან სამხედრო კომისარიატები და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები. გაუმჯობესდა ახალგაზრდობის მომზადება სამხედრო სამსახურისათვის. კარგად არის ორგანიზებული საბჭოთა არმიაში გაწვევა. გაუმჯობესდა პირველადი აღრიცხვა.

ამასთან ერთად აღინიშნა ნაკლოვანებები კანონის განხორციელების საქმეში. ზოგიერთ სასოფლო, სადაბო საბჭოში სათანადო ყურადღებას არ აქცევენ წვევამდელების და სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვას. სათანადო წესრიგი არ არის დამყარებული საერთო საცხოვრებლებში ახალგაზრდობის ჩაწერა-ამოწერის საქმეში. გაუმჯობესებას საჭიროებს წვევამდელთა სამედიცინო შემოწმების საქმე.

ამავე სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია, თუ როგორ სრულდება მუდმივი კომისიის 1967 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება „რესპუბლიკაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის მდგომარეობის შესახებ".

აღინიშნა, რომ კომისიის ამ დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკაში სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა. პროკურატურის, სასამართლოს, შინაგან საქმეთა ორგანოების და ადვოკატურის საშუალებით სისტემატურად ეწყობა ლექცია-მოხსენებები საბჭოთა კანონმდებლობის, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებსა და სხვა საკითხებზე.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ ზოგჯერ დაბალია ლექცია-საუბრების თემატური და მეთოდური დონე. ხშირად ლექცია-მოხსენებები მზადდება ნაჩქარევად, აკლია კონკრეტულობა და დამაჯერებლობა.

მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების თვალთახედვით კომისიამ განიხილა მექრთამეობის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის საკითხი.

საკითხების განხილვის გამო კამათში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები ა. კადანაძე, ვ. გელაშვილი, ბ. ჟღენტი, ა. წურწუმია, ა. ჩიქოვანი, ი. ყიფიანი, საქართველოს სსრ პროკურორი პ. ბერძენიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე და სხვები.

განხილული საკითხების გამო მუდმივმა კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულებების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1970 წლის 28 იანვრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 710 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		59
ქ. ჭიათურიდან		16
ქ. ფოთიდან		7
ქ. რუსთავიდან		4
ახალქალაქის	რაიონიდან	28
ახმეტის	„	24
გარდაბნის	„	111
გეგეჭკორის	„	9
გორის	„	12
დმანისის	„	110
ზუგდიდის	„	10
ზესტაფონის	„	10
კასპის	„	11
ლაგოდეხის	„	8
ლანჩხუთის	„	3
მარნეულის	„	178
ორჯონიკიძის	„	4
საგარეჯოს	„	65
სამტრედიის	„	9
საჩხერის	„	28
სიღნაღის	„	4